



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი

„დამტკიცებულია“

„დამტკიცებულია“

რექტორი

პროფ. გიორგი ონიანი

დეკანი

პროფ. ზურაბ არქანია

აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №2
15 ოქტომბერი 2009 წელი

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №5
8 ოქტომბერი 2009 წელი

საბაკალავრო პროგრამა

საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტი

1. პროგრამის დასახელება: საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტი

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: საინჟინრო მეცნიერებათა ბაკალავრი
Bachelor of Engineering

3. პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტი და სტრუქტურული ერთეული
საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი,

4. პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება
მიზანი:

პროგრამის ძირითადი მიზანია საინჟინრო მიმართულებით ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელთა საქმიანობა უზრუნველყოფს საზღვაო-სატრანსპორტო მომსახურებით დასაქმებული ფირმების სრულფასოვან ფუნქციონირებასა და განვითარებას. შიდა და გარე ფაქტორების გავლენის გათვალისწინებით ბაკალავრი ახდენს საზღვაო-სატრანსპორტო მომსახურების პროცესში მონაწილე სუბიექტების საქმიანობათა ანალიზს, მათ კოორდინაციას და რეგულირებას, იკვლევს საზღვაო-სატრანსპორტო მომსახურების ბაზარს, მის კონიუნქტურას, საზღვაო ტრანსპორტზე მოთხოვნილებისა და მოთხოვნის დინამიკას და მათ შესაბამისად განსაზღვრავს სატრანსპორტო ფირმის სტრატეგიას მზარდი კონკურენციის პირობებში; ამზადებს წინადადებებს სატრანსპორტო მომსახურების პაკეტის სრულყოფის შესახებ, მონაწილეობს საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვების საფასო პოლიტიკისა და სატარიფო ბადის განსაზღვრაში; საზღვაო-სატრანსპორტო მომსახურების პროცესზე მოქმედი ტექნოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით ირჩევს საქონლის გადაზიდვის ეფექტურ სისტემებს, ახორციელებს კომუნიკაციური პოლიტიკის ფორმირებას; მონაწილეობს საზღვაო ტრანსპორტის სერვისით და მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებით დაკავებული სამსახურების სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვის პროგრამების შემუშავებაში; კოორდინაციას უწევს მატერიალური და ინფორმაციული ნაკადების მოძრაობას და საზღვაო ტრანსპორტის მუშაობას სახელმწიფოთა შორის დონეზე; მისი მიზანია მომხმარებელთა მოთხოვნების, ფირმის შესაძლებლობების, დარგის სპეციფიკის, საზღვაო ნავსადგურების უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვის და მართვის ორგანიზაციის პრინციპების მაქსიმალური გათვალისწინებით მაღალეფექტური საბოლოო შედეგების მიღწევა საზღვაო-სატრანსპორტო მომსახურების ბაზარზე.

შედეგები და კურსდამთავრებულთა კომპეტენციები

პროგრამის კურსის გავლის შემდეგ საინჟინრო საქმის ბაკალავრი უნდა ფლობდეს:

- საინჟინრო-ტექნიკური, ეკონომიკური, მენეჯერული და სოციალური სფეროს მეცნიერების ძირითად თეორიებსა და კონცეფციებს;
- მათემატიკური მეთოდების გამოყენებით მნიშვნელოვანი პროცესებისა და პრობლემების კვალიფიციური ანალიზის შესაძლებლობას;
- საზღვაო ტრანსპორტის სფეროში ბიზნესის მენეჯმენტის წარმართვის უნარს ძირითადი ტენდენციებისა და მიმართულებების მიხედვით;
- პროფესიული ფუნქციების შესასრულებელად სათანადო უნარ-ჩვევებს;
- სატრანსპორტო მომსახურების სრულყოფის ტენდენციებს, რომლებსაც შეუძლიათ ხარისხობრივად შეცვალონ სატრანსპორტო სისტემების ფუნქციონირების ორგანიზაცია და მართვა;

- სატრანსპორტო სისტემის და მათი ელემენტების ფუნქციონირების პროგნოზირების თეორიულ მეთოდებს;
- სატრანსპორტო მომსახურების ბაზრის კონიუნქტურის, საზღვაო ტრანსპორტის სახეობების მიხედვით მისი სეგმენტების მდგომარეობის, ცვლილებების პერსპექტივებისა და მათი პროგნოზირების მეთოდებს;
- იმ ახალ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს სატრანსპორტო სისტემების მართვის სფეროებში;
- საზღვაო-სატრანსპორტო სისტემების მართვის სტრუქტურების პროექტირებასთან დაკავშირებულ საინჟინრო გათვლების მეთოდებს;
- საზღვაო ტრანსპორტის სერვისული მომსახურების და მოძრაობის უსაფრთხოების სამსახურების ორგანიზაციის უნარს.

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულების დასაქმების სფეროებია:

1. საზღვაო-სატრანსპორტო, გადამზიდავი, ექსპედიტორული და ლოგისტიკური ფირმები;
2. სატრანსპორტო საშუალებების საფირმო მომსახურების ცენტრები, სალიზინგო, სადილერო და სადისტრიბუციო საწარმოები;
3. საზღვაო სააგენტო ფირმები;
4. ტრანსპორტის სადაზღვევო კომპანიები,
5. ნავთობ-ტერმინალები;
6. საბაჟო ტერმინალები;
7. საზღვაო ნავსადგურები;
8. საზღვაო-საექსპედიტორო ფირმები.

5. პროგრამაზე მიღების წინაპირობა

აბიტურიენტის განათლების წინამდებარე დონეა სრული საშუალო ან მისი ექვივალენტური განათლება. აბიტურიენტს უნდა გააჩნდეს სრული საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და საქართველოს მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დოკუმენტი, რომელიც ანიჭებს მას სტუდენტის სტატუსს, ან ექვივალენტური დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სახელმწიფოებს შორის შესაბამისი ხელშეკრულებების არსებობის შემთხვევაში.

6. სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააზარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

7.პროგრამის სტრუქტურა

N	კურსის კოდი	კურსი	სკ	ლ/პრ/ს/ლბ.	კრედიტი	სემესტრები							წინაპირობა
						I	II	III	IV	V	VI	VII I	
პროგრამის სავალდებულო კურსები (225 კრედიტი)													
1	FTB0010	უცხო ენა-1	4	0.4.0.0	5	5							
2	FTB0020	უცხო ენა-2	4	0.4.0.0	5		5						
3	FTB0030	კალკულუსი1	3	2.1.0.0	5	5							
4	FTB0040	კალკულუსი2	3	2.1.0.0	5		5						
5	FTB0050	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	3	2.1.0.0	5			5					
6	FTB0060	ოპტიმიზაციის მეთოდები	3	2.1.0.0	5				5				
7	FTB0070	საინჟინრო გრაფიკა	3	12.0.0	5	5							
8	FTB0080	ფიზიკა	3	2.1.0.0	5		5						
9	FTB0090	მექანიკის საფუძვლები	3	2.1.0.0	5			5					
10	FTB0100	ტექნიკური ქიმია და ეკოლოგია	3/3	2.1.0.0/2.1.0.0	10	5	5						
11	FTB0110	ინფორმაციული ტექნოლოგიები	3/3	1.0.0.2/1.0.0.2	10	5	5						
12	FTB0120	ეკონომიკის თეორიის საფუძვლები	3	2.1.0.0	5			5					
13	FTB0130	მათემატიკური მეთოდები და მოდელები ეკონომიკაში	3	2.1.0.0	5				5				
14	FTB0140	სატრანსპორტო ბიზნესკანონმდებლობის საფუძვლები	3	2.1.0.0	5						5		
15	FTB0150	საზღვაო ნავსადგურები და ტრანსპორტი	3	12.0.0	5			5					
16	FTB0160	ტვირთმცოდნეობა	3	12.0.0	10				5	5			
17	FTB0170	საზღვაო-სატრანსპორტო და გადამტვირთი მანქანები	3	2.1.0.0	5					5			
18	FTB0180	ინფორმაციული ტექნოლოგიები ტრანსპორტზე	3	2.1.0.0	5			5					
19	FTB0190	საზღვაო სატრანსპორტო გადაზიდვების ტექნოლოგია	3/3	2.1.0.0/2.1.0.0	10				5	5			
20	FTB0200	სიცოცხლის უსაფრთხოება საზღვაო-ტრანსპორტზე	3	2.1.0.0	5					5			
21	FTB0210	სატრანსპორტო საექსპედიტორო	3	2.1.0.0	5						5		

		მომსახურების საფუძვლები											
22	FTB0220	მომძრაობის უსაფრთხოება საზღვაო ტრანსპორტზე	3	12.0.0	5						5		
23	FTB0230	სატრანსპორტო ფირმის ეკონომიკა, ორგანიზაცია და მენეჯმენტი	3/6/6	2.1.0.0/2.4.0.0 /2.4.0.0	25			5	10	10			
24	FTB0240	საბუღალტრო აღრიცხვა	6	2.4.0.0	10						10		
25	FTB0250	მარკეტინგი	3	2.1.0.0	5							5	
26	FTB0260	მართვის ფსიქოლოგია საზღვაო ტრანსპორტზე	3	12.0.0	5							5	
27	FTB0270	ლოგისტიკა	3	12.0.0	5					5			
28	FTB0280	სასწავლო პრაქტიკა			5			5					
29	FTB0290	საწარმოო პრაქტიკა			5					5			
30	FTB0300	მენეჯმენტი ტრანსპორტზე	3	2.1.0.0	5						5		
31	FTB0310	კომერციული საქმიანობა საზღვაო ტრანსპორტზე	3/3	2.1.0.0/2.1.0.0	10						5	5	
32	FTB0320	ფირმის სამეურნეო საქმიანობის ანალიზი	6	2.4.0.0	10							10	
33	FTB0330	ფლოტის მართვა და გემების აგენტირება	3/3	2.1.0.0/2.1.0.0	10						5	5	
		არჩევითი კურსები-15 კრედიტი											
1*	FTB0341	სამართლის საფუძვლები	3	0.3.0.0	5	5							
2*	FTB0351	ფილოსოფია	3	2.0.1.0									
3*	FTB0361	პოლიტოლოგია	3	2.0.1.0	5		5						
4*	FTB0371	ზღვაოსნობისა და გემთმშენებლობის ისტორია	3	2.0.1.0									
5*	FTB0381	სპეც. ინგლისური ენა	3	0.3.0.0	5			5					
6*	FTB0391	კულტუროლოგია	3	2.0.1.0									
				სულ	240	30	30	30	30	30	30	30	30

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება:

სკ - საათი კვირაში

ლ./პრ./ს/ლაბ.. - ლექცია/პრაქტიკული/სემინარი/ლაბორატორიული

8. სასწავლო კურსების მოკლე აღწერა

FTB0010 უცხო ენა-1 (5 კრედიტი)

ენის ასპექტების წერის, კითხვის, მოსმენის, საუბრის სწავლება: წერაში სტუდენტი შეისწავლის წინადადების აგების ნორმებს; აზრის ორგანიზაციას; მთავარი, განმავითარებელი და შემაჯამებელი წინადადებების წერას; აზრის სახეობებს, საქმიანი ქაღალდების შედგენას. კითხვაში სტუდენტი დაეუფლება კითხვის სხვადასხვა მეთოდს კითხვის მიზნების შესაბამისად: დეტალური ინფორმაციის, ზოგადი ინფორმაციის, მთავარი ინფორმაციის (ტექსტის სწრაფი კითხვით) მიღებისათვის. მოსმენაში სტუდენტი განივითარებს მოსმენის საბაზო უნარ-ჩვევებს აუდიო-ვიდეო მასალის გამოყენებით. საუბარში სტუდენტი შეიძენს მარტივი დიალოგისა და მონოლოგის წარმართვის კომპეტენციას ისეთ თემებზე, როგორებიცაა იდენტობა, პროფესია, ოჯახი, მსოფლიო და თანამედროვე პრობლემები. ზემოთ ხსენებული უნარ-ჩვევების განვითარება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და საშუალებების სასწავლო პროცესში ჩართვას ეფუძნება, რომელთა ურთიერთქმედება სწავლების მაღალეფექტურობასა და ინტენსივობას უზრუნველყოფს.

FTB0020 უცხო ენა-2 (5 კრედიტი)

კურსი ითვალისწინებს ენის ოთხივე ასპექტის უფრო მაღალ დონეზე დაუფლებას: წერაში სტუდენტი შეისწავლის ესსეს წერის პრინციპებს, შესავალი, ძირითადი და დასკვნითი აზრების სპეციფიკას, ესსეს ტიპებს და საქმიანი მიმოწერის წარმოებას. კითხვაში სტუდენტი დაეუფლება მაღალი დონის ადაპტირებული და ორიგინალი ტექსტის კითხვის პრინციპებს. მოსმენაში სტუდენტი განივითარებს მშობლიურ ენაზე მოსაუბრის მეტყველების გაგების უნარ-ჩვევებს. საუბარში სტუდენტი შეიძენს დიალოგის და მონოლოგის წარმართვის კომპეტენციას ისეთ თემებზე, როგორებიცაა დანაშაული და სასჯელი, ეკონომიკა, მედიცინა, ეკოლოგიური პრობლემები, მსოფლიო უსაფრთხოება. ამავე დონეზე ხდება სპეციალური (დარგობრივი) ტერმინოლოგიის შესწავლა და დარგობრივი ტექსტების დამუშავება. კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსის უცხო ენა-1 ათვისება.

FTB0030 კალკულუსი -1 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სიმრავლე, მისი ელემენტი. ფუნქციის ცნება. რთული ფუნქცია და მისი თვისებები. კომპლექსური რიცხვები. მოქმედებები კომპლექსურ რიცხვებზე, კომპლექსური რიცხვის მოდული და არგუმენტი, გეომეტრიული ინსტრუქცია. კომპლექსური რიცხვის ტრიგონომეტრიული ფორმა. მუავრის ფორმულა, n -ური ხარისხის ფესვი კომპლექსური რიცხვიდან. წრფის განტოლება ღერძთა მონაკვეთებში. წრფის ზოგადი განტოლება. წრფის კანონიკური და პარამეტრული განტოლება, წრფეთა კონის განტოლება. მოცემულ ორ წერტილზე გამავალი წრფის განტოლება, კუთხე ორ წრფეს შორის. წრეწირი, ელიფსი, ჰიპერბოლა, პარაბოლა, მატრიცის ცნება. მოქმედებები მატრიცებზე, მატრიცათა სახეები. მეორე და მესამე რიგის დეტერმინანტები. მინორი და ალგებრული დამატება, დეტერმინანტის მინორული განმარტება. n -ური რიგის დეტერმინანტის ცნება. ორუცნობიან წრფივ განტოლებათა სისტემა. სამუცნობიან წრფივ განტოლებათა სისტემა, კრამერის ფორმულები. მატრიცის რანგის ცნება. წრფივ განტოლებათა სისტემის ამოხსნა გაუსის მეთოდით. მიმდევრობა, მისი მოცემის წესები, მიმდევრობის ზღვარი, ზოგიერთი თეორემა

ზღვართა შესახებ. უსასრულოდ მცირე და უსასრულოდ დიდი მიმდევრობები. დამოკიდებულება მათ შორის. არითმეტიკული ოპერაციები კრებად მიმდევრობებზე. თეორემა მონოტონური მიმდევრობის კრებადობის შესახებ. ნეპერის რიცხვი. ფუნქციის ზღვრის ცნება, ფუნქციის ცალმხრივი ზღვრები, ფუნქციის ზღვარი, როდესაც $x \rightarrow \pm\infty$. ძირითადი თეორემები ზღვრებზე. უსასრულოდ მცირე და უსასრულოდ დიდი ფუნქციები, შესანიშნავი ზღვრები, ნეპერის რიცხვი ზოგად შემთხვევაში. უსასრულოდ მცირეთა შედარება, ეკვივალენტური უსასრულოდ მცირეები. მაღალი რიგის უსასრულოდ მცირეთა უკუგდების პრინციპი. ფუნქციის უწყვეტობა, უწყვეტ ფუნქციათა ძირითადი თვისებები.

FTB0040 კალკულუსი- 2 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: წარმოებულის ცნება. მისი გეომეტრიული და ეკონომიკური აზრი, გაწარმოების ძირითადი წესები. ფუნქციის დიფერენციალი და მისი გეომეტრიული შინაარსი. მაღალი რიგის წარმოებულები. ფუნქციის ლოკალური ექსტრემუმი, ექსტრემუმის აუცილებელი პირობა. ფუნქციის კრიტიკული წერტილები. როლის და ლაგრანჟის თეორემები, კოშის თეორემა, ლოპიტალის წესი. ტეილორის ფორმულა. ფუნქციის მონოტონურობის პირობები, ექსტრემუმის არსებობის საკმარისი პირობები. ფუნქციის ამოზნექილობა-ჩაზნექილობისა და გადაღუნვის წერტილების არსებობის პირობები.

ორი ცვლადის ფუნქციის კერძო წარმოებულები და სრული დიფერენციალი. ორი ცვლადის ფუნქციის ექსტრემუმის აუცილებელი და საკმარისი პირობები. ფუნქციის პირველყოფილი და განუსაზღვრელი ინტეგრალი და მისი ძირითადი თვისებები. ძირითად ინტეგრალთა ცხრილი. ნაწილობითი ინტეგრებისა და ცვლადთა გარდაქმნის ფორმულები. განსაზღვრული ინტეგრალის ცნება და მისი ძირითადი თვისებები. ნაწილობითი ინტეგრებისა და ცვლადთა გარდაქმნის ფორმულები განსაზღვრული ინტეგრალისათვის. საშუალო მნიშვნელობის თეორემა. ინტეგრალი ცვლადი ზედა საზღვრით. ნიუტონ-ლაიბნიცის თეორემა. ინტეგრალის გამოყენება ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად. პირველი რიგის წრფივი დიფერენციალური განტოლება, მეორე რიგის მუდმივკოეფიციენტებიანი წრფივი ერთგვაროვანი დიფერენციალური განტოლება, პირველი და მეორე რიგის სხვაობიანი განტოლებები.

კურსის შესწავლის წინაპირობა: კალკულუს-1

FTB0050 ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ხდომილობათა სივრცე; ალბათობის აქსიომატური, კლასიკური და გეომეტრიული განმარტებები; ბერნულის სქემა; პუასონის ფორმულა; მუავრ-ლაპლასის მიახლოებითი ფორმულები; განაწილების ძირითადი სახეები; შემთხვევითი სიდიდეები და მათი რიცხვითი მახასიათებლები; მახასიათებელი ფუნქციები; ცენტრალური ზღვართი თეორემები; დიდ რიცხვთა კანონი; უცნობი პარამეტრების წერტილოვანი შეფასებების დადგენის მეთოდები; ნდობის ინტერვალების აგების მეთოდები; ემპირიული განაწილების ფუნქცია; სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმება; წრფივი რეგრესიის კოეფიციენტების განსაზღვრა; დისპერსიული ანალიზის ელემენტები

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: კალკულუსი¹ და კალკულუს²

FTB0060 ოპტიმიზაციის მეთოდები - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს : ოპტიმიზაციის ამოცანები, წრფივი პროგრამირების, არაწრფივი პროგრამირების და სატრანსპორტო ამოცანის ამოხსნის (სიმპლექს-მეთოდი, გომორის მეთოდი, პოტენციალთა მეთოდი, ლაგრანჟის მამრავლების მეთოდი, არაწრფივი პროგრამირების ამოცანების ამოხსნის გამოთვლითი მეთოდები, გრადიენტული მეთოდები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: კალკულუსი¹, კალკულუსი² და ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა

FTB0070 საინჟინრო გრაფიკა - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს : დაგეგმილების მეთოდები, წრფე. წრფის გეგმილები. ზოგადი და კერძო მდგომარეობის წრფეები. წრფეების ურთიერთდამოკიდებულება. ხილვადობის დადგენა. წრფის მონაკვეთის ნამდვილი სიდიდის პოვნა, წრფის და სიბრტყის პარალელობა. ორი მონაკვეთის ნამდვილი სიდიდეების პოვნა. ორი სიბრტყის პარალელობა. წრფის და სიბრტყის ურთიერთკვეთა. წრფის და სიბრტყის მართობულობა. ორი სიბრტყის მართობულობა. მანძილი წერტილიდან წრფემდე. ზედაპირები. ზედაპირის გეგმილი ორ და სამ გეგმილთ სიბრტყეზე. ბრუნვითი ცილინდრი, კონუსი, წახნაგოვანი პრიზმა, პირამიდა.

FTB0080 ფიზიკა - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ საკვანძო საკითხებს: მექანიკა (კინემატიკა, დინამიკა), შენახვის კანონები, მექანიკური რხევები და ტალღები, მოლეკულური ფიზიკა, სტატისტიკა და თერმოდინამიკა, ელექტრობა (ელექტროსტატიკა, მუდმივი დენი), მაგნეტიზმი, ელექტრული რხევები, ელექტრომაგნიტური ტალღები, ოპტიკა (გეომეტრიული და ფიზიკური).

FTB0090 მექანიკის საფუძვლები - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მყარი სხეულის სტატიკა. ძალთა სხვადასხვა სისტემების დაყვანა უმარტივეს სახეზე და წონასწორობის პირობები. მყარი სხეულის სიმძიმის ცენტრი. წერტილის მოძრაობის მოცემის ხერხები. სხეულის გადატანითი მოძრაობა. მყარი სხეულის ბრუნვა უძრავი ღერძის გარშემო. მყარი სხეულის ბრტყელი მოძრაობა. წერტილის რთული მოძრაობა. დინამიკის ამოცანები. წერტილის მოძრაობის დიფგანტოლებები. წერტილის ფარდობითი მოძრაობა და ინერციის ძალა. თეორემა წერტილთა სისტემის მოძრაობის რაოდენობის ცვლილების შესახებ. თეორემა მასათა ცენტრის მოძრაობის შესახებ. თეორემა სისტემის კინეტიკური მომენტის ცვლილების შესახებ. ძალის მუშაობა. თეორემა კინეტიკური ენერჯიის ცვლილების შესახებ. გიროსკოპის თეორია. მანქანების, კონსტრუქციების და მათი შემადგენელი ელემენტების გაანგარიშება სიმტკიცეზე, სიხისტეზე და მდგრადობაზე. მექანიზმებისა და მანქანების ნაწილების გაანგარიშების საფუძვლები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: კალკულუსი 1, კალკულუსი 2

FTB0100 ტექნიკური ქიმია და ეკოლოგია - (10 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: წყლის სტრუქტურა და ფიზიკო-ქიმიური თვისებები, ბუნებრივი წყლების კლასიფიკაცია; წყლის ხარისხის მაჩვენებლები; ექსპლუატაციის პირობებში წყლის დაბინძურების წყაროები; დანადგარების კოროზია, კოროზიული ნგრევის მაჩვენებლები და კოროზიისაგან დაცვის მეთოდები; ქვაბებში დანალექების წარმოქმნის მიზეზები, დანალექის პროცესი და მისი აღმოფხვრის გზები; წყლის მარილისაგან გაწმენდა; წყლის კოროზიული აქტივობის შემცირების მეთოდები; ენერგეტიკული დანადგარების გაწმენდის მეთოდები, დანადგარების გაწმენდის ქიმიური კონტროლი; აკუმულატორების მოწყობილობა და მისი მომზადება ექსპლუატაციისათვის, აკუმულატორების ტესტირება.

სამრეწველო სატრანსპორტო ეკოლოგია. ბუნებრივი გარემოს შემადგენლობა, ატმოსფერული ჰაერის დამბინძურებლები დამათი დახასიათება. საზღვაო ტრანსპორტი და გარემო. გარემოზე თბური მანქანების ზემოქმედების თერმოდინამიკური საფუძვლები, როგორც გარემოს დამბინძურებელი ძირითადი ენერგეტიკული დანადგარი; ტოქსიკური ნაერთების დახასიათება. ტოქსიკურობის შემცირების ძირითადი მეთოდები. შრომის ჰიგიენა და საწარმოო სანიტარული მოთხოვნები. სატრანსპორტო საწარმოებში შრომის პირობებისა და გარემოს დაცვის გაუმჯობესების პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტა. სანიტარულ-ჰიგიენური და ეკოლოგიური ნორმატივები.

FTB0110 ინფორმაციული ტექნოლოგიები (10 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კომპიუტერები თანამედროვე საზოგადოებაში; კომპიუტერული სისტემის ზოგადი აღწერა; მონაცემთა დამუშავებელი ჰარდუერი; მონაცემთა დამუშავების სიმპლავრის შეფასება; მონაცემთა შემტანი ჰარდუერი; მონაცემთა შემნახველი ჰარდუერი; მონაცემთა იერარქია; მონაცემთა შემნახველი საშუალებები; მონაცემთა გადამცემი ჰარდუერი; გამოყენებითი სოფთუერი; ტექსტის მომზადების სოფთუერი; ელექტრონული ცხრილის სოფთუერი; კომპიუტერები სამუშაო ადგილებზე და კომპიუტერიზაციის მართვა; ხელოვნური ინტელექტი; ჰარდუერის, სოფთუერის და მონაცემების დაცვა; საოპერაციო სისტემა Windows XP; ტექსტის მომზადების პროგრამა Word; ელექტრონული ცხრილი Excel, Access.

FTB0120 ეკონომიკური თეორიის საფუძვლები (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ეკონომიკური თეორია როგორც მეცნიერება; ეკონომიკის პრინციპები; წარმოება და ეკონომიკური ზრდა; ეკონომიკური რესურსები და წარმოების ფაქტორები; საკუთრება და მისი ეკონომიკური ასპექტები; წარმოების დანახარჯები და მოგება; თანამედროვე საკუთრებითი ურთიერთობანი და სამეწარმე საქმიანობა; საქონელწარმოება და მისი როლი საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაში, ფული და მისი ფუნქციები; ფაქტორული შემოსავლები და მათი ფუნქციონალური განაწილება; მაკროეკონომიკური არასტაბილურობა და უმუშევრობა; ბაზარი და მისი წარმოშობა-განვითარების კანონზომიერებანი; ფასი და ფასწარმოქმნის მექანიზმი; საბაზრო ეკონომიკა; ფინანსური სისტემა; სახელმწიფო ბიუჯეტი; თანამედროვე საკრედიტო-

საბანკო სისტემა, თანამედროვე აგრარული ურთიერთობანი; კვლავწარმოება და ეკონომიკური ზრდა; ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების კონცეფცია; საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი.

FTB0130 მათემატიკური მეთოდები და მოდელები ეკონომიკაში- (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: თეორიული მოდელები, ბალანსური მოდელები, ორი ქალაქის ამოცანა, ქსელური გრაფიკები, უმოკლესი მანძილის პოვნა გრაფში, კომივოიაჟერის ამოცანა, სატრანსპორტო ამოცანა, დანიშვნის ამოცანა, ტიპიური გაანგარიშებები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: კალკულუსი1, კალკულუსი2, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა.

FTB0140 სატრანსპორტო ბიზნესკანონმდებლობის საფუძვლები -(5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საზღვაო ტრანსპორტის საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება (სავალდებულო სერთიფიცირება); კონკურსის შედეგების გაფორმება; მგზავრების გადაყვანის და ტვირთების გადაზიდვის ხელშეკრულება; გადასაზიდად ტვირთების მომზადების და გაცემის წესი. გადაზიდვის დოკუმენტების გაფორმების წესი. აქტების შედგენის წესი. საზღვაო სატრანსპორტო-საექსპედიტორო მომსახურების წესები. ხელშეკრულების დადების ვალდებულება. გადაზიდვის ხელშეკრულების ფორმა. ზედნადების შედგენის წესი, ზედნადების რეკვიზიტები. ტვირთის დაკარგვის პრეზუმფცია. ტვირთის ღირებულება ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისას. საზღვაო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების დარღვევა. გემის კაპიტნის მიერ განსაცდელში მიტოვება. საზღვაო სატრანსპორტო გადასახადები და ტარიფები. ნავსადგურის , ტვირთის გადაზიდვის ტარიფები და დამატებით საფასურები.

კურსის შესწავლის წინაპირობა: ეკონომიკური თეორიის საფუძვლები.

FTB0150 საზღვაო ნავსადგურები და ტრანსპორტი- (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საზღვაო ნავსადგურები, მისასვლელი გზები და აკვატორია, ნავმისადგომების ძირითადი ელემენტების ტექნოლოგიური მოთხოვნები, ჰიდროტექნიკური დანადგარების კონსტრუქციები, სატრანსპორტო გადაზიდვები: ტვირთების სატრანსპორტო მახასიათებლები, კონტეინერები, ნახევარმისაბმელები, მისაბმელები , საზღვაო ტრანსპორტი, გემების კლასიფიკაცია.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: კალკულუსი 1, კალკულუსი 2, ფიზიკა და მექანიკის საფუძვლები.

FTB0160 ტვირთმცოდნეობა - (10 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ტვირთების სატრანსპორტო მახასიათებლები; სხვადასხვა სახის ტვირთების თავისებურებები; ტვირთებზე მოქმედი ფაქტორები; გემის სატვირთო სათავსოს მიკროკლიმატის რეგულირება; ტვირთების შენახვადობა; ტვირთებზე მოქმედი ძალები; მათი განლაგება და დამაგრება მოძრავ შემადგენლობაზე; ტარა და შეფუთვა; ტვირთის ხარისხის განსაზღვრის მეთოდები; ტვირთების დაცვის

უზრუნველყოფა ტრანსპორტირებისას; სხვადასხვა ჯგუფის ტვირთების გადაზიდვის თავისებურებანი;

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ტექნიკური ქიმია და ეკოლოგია, ფიზიკა, საზღვაო ნავსადგურები და ტრანსპორტი.

FTB0170 საზღვაო-სატრანსპორტო და გადამტვირთავი მანქანები - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ნავსადგურების ექსპლუატაციური მახასიათებლები და ტექნოლოგიური პროცესი; გადატვირთვის სამუშაოების ორგანიზაცია და ტექნოლოგია; ძირითადი ტვირთების გადატვირთვის მეთოდები: გემების, სარკინიგზო ვაგონების და ავტოტრანსპორტის დამუშავება; ტვირთების გადატვირთვის ტექნოლოგიური პროცესის ეფექტიანობის მაჩვენებლები; ნავსადგურების ტვირთბრუნვა; ტექნოლოგიური პროცესების დამუშავება და გადატვირთვის სამუშაოების მექანიზაციის სქემის ტექნოლოგიური პროექტირება; ხელმძღვანელობის დისპეჩერული სისტემა და გადატვირთვის სამუშაოების ოპერატიული დაგეგმარება; გადატვირთვის რეჟიმები, სატრანსპორტო საშუალებათა გამტარუნარიანობა და მათი დატვირთვა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: მექანიკის საფუძვლები, საზღვაო ნავსადგურები და ტრანსპორტი და ტვირთმცოდნეობა.

FTB0180 ინფორმაციული ტექნოლოგიები ტრანსპორტზე - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მართვის ავტომატიზირებული სისტემა, როგორც მართვის პროცესების ოპტიმიზაციის ინსტრუმენტი სატრანსპორტო სისტემებში; ტრანსპორტზე მ.ა.ს.-ის აგების სტრუქტურა და დონეები, მათი ფუნქციები; ოპერატიულ გადაწყვეტილებათა ეფექტური მიღების ალგორითმები; მ.ა.ს. ინფორმაციული და ტექნიკური უზრუნველყოფა; მონაცემების გადაცემის საფუძვლები; მონაცემთა ბაზების და ბანკების ცნება; მ.ა.ს. ტრანსპორტის სხვადასხვა სახეების ურთიერთქმედებით.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ინფორმაციული ტექნოლოგიები.

FTB0190 საზღვაო სატრანსპორტო გადაზიდვების ტექნოლოგია - (10 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საერთო წესები ტვირთების მიღებისა და ჩაბარებისას საზღვაო გადაზიდვების ხელშეკრულების შესაბამისად, ტვირთების მიღებისა და ჩაბარება საზღვარგარეთ ცურვისას და მათი დოკუმენტალური გაფორმება, საბაჟო და სასაზღვრო რეჟიმები, სხვადასხვა ნორმატიული აქტები ტვირთის დოკუმენტალური გაფორმებისას, ტვირთის სატრანსპორტო მახასიათებლები, ტვირთის წრფივი და მოცულობითი მახასიათებლები. გაზომვის ერთეულები, ტვირთების სტანდარტიზაცია, ტარა და შეფუთვა. ტვირთების ხარისხის განსაზღვრა, არამარცვლელი ნაყარი ტვირთების რეგლამენტირებული გადაზიდვის ნორმატიული დოკუმენტები, გემის ტიპები ნაყარი ტვირთების გადაზიდვისას და მათი ჩატვირთვის წესები, მარცვლელი ტვირთების თვისებები, მარცვლელი ტვირთების რეგლამენტირებული გადაზიდვების დოკუმენტები, გემის მდგრადობა მარცვლელი ნაყარი ტვირთების გადაზიდვისას. გემის სატვირთო ტრიუმებში ჩატვირთვა და მარცვლელის დამაგრების მეთოდები, გენერალური ტვირთების კლასიფიკაცია და ძირითადი თვისებები, ტვირთის სეპარაცია და სეპარაციული მასალების საჭირო რაოდენობის განსაზღვრა, მეტალის და

რკინა ბეტონის ნაწარმის გადაზიდვა, სახიფათო ტვირთების მომზადება გადასაზიდად, გემის მომზადება სახიფათო ტვირთების გადასაზიდად, სახიფათო ტვირთების განთავსების ტექნიკური პირობები, თხევადი ტვირთების მახასიათებლები, თხევადი ტვირთების ფიზიკური და ქიმიური თვისებები, ტანკერების კლასიფიკაცია, თხევადი ტვირთების გადაზიდვის კომერციული პირობები, საკვები თხევადი ტვირთების გადაზიდვა, მსხვილგაბარიტიანი და მძიმე ტვირთების გადაზიდვა, სატვირთო გემების ზოგადი მოთხოვნები, გემის ტვირთამწეობის გამოთვლა, გემის ტვირთტევადობის გამოთვლა, გემის მდგრადობის გამოთვლა, როლკერისათვის სატვირთო გემის გამოთვლა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: საზღვაო ნავსადგურები და ტრანსპორტი და ტვირთმცოდნეობა.

FTB0200 სიცოცხლის უსაფრთხოება საზღვაო ტრანსპორტზე - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: გემის სახანძრო უსაფრთხოება, დაზარალებულთა გადარჩენისა და ევაკუაციის ტაქტიკა, სახიფათო ტვირთების გადაზიდვისას სახანძრო უსაფრთხოების დაცვა, კორპუსის დაზიანება, კორპუსში წყლის შეღწევის შეჩერება, ზღვაში სიცოცხლის შენარჩუნება და გადარჩენა, სამაშველო სამსახურის ორგანიზაცია, ინდივიდუალური მაშველი მოწყობილობები, კოლექტიური მაშველი მოწყობილობები, საფრთხის სიგნალები ზღვაში, სიცოცხლის ორგანიზაცია მაშველ მოწყობილობაზე, სიცოცხლის უნარიანობის შენარჩუნება გემზე, ექიმამდე სამედიცინო დახმარება.

FTB0210 სატრანსპორტო-საექსპედიტორო მომსახურების საფუძვლები - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: გადამზიდავი აგენტის და ტვირთის მფლობელ ექსპედიტორის ორგანიზაციულ-სამართლებრივი დებულება; სატრანსპორტო ოპერაციების ხელშეკრულებით-სამართლებრივი და ტექნოლოგიური უზრუნველყოფა; ტვირთების გაგზავნის და მიღების ექსპედიცია; საექსპედიციო ოპერაციები ტვირთის გზაში ყოფნისას; განსაკუთრებულ პირობებში გადასაზიდადი ტვირთების ტექნოლოგიურ-საექსპედიტორო უზრუნველყოფა; საპრეტენზიო სამუშაოები; ტექნოლოგიურ-საექსპედიტორო უზრუნველყოფის დამატებითი ოპერაციები; ტექნოლოგიურ-საექსპედიტორო უზრუნველყოფის სრულყოფა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ტვირთმცოდნეობა, საზღვაო სატრანსპორტო გადაზიდვების ტექნოლოგია, საზღვაო-სატრანსპორტო და გადამტვირთავი მანქანები.

FTB0220 მოძრაობის უსაფრთხოება საზღვაო ტრანსპორტზე- (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საგნის შესწავლის მიზანი, საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოება, ხომალდის შემოწმება ნაოსნობის დაწყებისას, ნაოსნობის შეზღუდვის პირობები, ნავსადგურში ხომალდის შესვლა-გამოსვლის პირობები, ავარიული შემთხვევები, ხომალდებზე ავარიული სამუშაოს შესრულების ორგანიზაცია.

კურსის შესწავლის წინაპირობა: საზღვაო ნავსადგურები და ტრანსპორტი, საზღვაო-სატრანსპორტო და გადამტვირთავი მანქანები.

FTB0230 სატრანსპორტო ფირმის ეკონომიკა, ორგანიზაცია და მენეჯმენტი - (25 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მენეჯმენტის თეორიები; პრაქტიკული მართვის გენეზისი; მართვის პრინციპები და მეთოდები; სამეურნეო ხელმძღვანელის საქმიანი თვისებები; მენეჯმენტის განვითარების საზღვარგარეთულ გამოცდილება; ორგანიზაციის არსი და ამოცანები; მართვის ფუნქციები და მის კლასიფიკაცია; მმართველობითი გადაწყვეტილებანი; შიდასაწარმოო საქმიანი ურთიერთობების მენეჯმენტი, საწარმოო მენეჯმენტის საფუძვლები.

სატრანსპორტო საწარმოში მომუშავე პერსონალისათვის სამსახურეობრივი ინსტრუქციების შედგენა, ხელფასის გაანგარიშების ფორმები და მეთოდები, სატრანსპორტო საწარმოს საორგანიზაციო სტრუქტურულ სქემები, სატრანსპორტო საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმები, სატრანსპორტო მომსახურების ბაზრის ფორმირების წესები. სატრანსპორტო მომსახურების თვითღირებულებისა და დანახარჯების გაანგარიშების მეთოდები, სამეურნეო პოლიტიკის პრაქტიკული გამოყენება, სატრანსპორტო მომსახურების განვითარების პერსპექტივები, სატრანსპორტო მომსახურების რენტაბელური გაძღოლის საკითხები, სატრანსპორტო ფირმის ეკონომიკა, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ეკონომიკური თეორიის საფუძვლები.

FTB0240 საბუღალტრო აღრიცხვა - (10 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ბუღალტრული აღრიცხვის არსი და ადგილი მართვის სისტემაში, ბუღალტრული აღრიცხვის საგანი და მეთოდი, ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირება, ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები და ძირითადი დაშვება, დოკუმენტაცია და ინვენტარიზაცია, ბალანსი და ბალანსის პრინციპები, ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშები და ორმაგი ჩაწერა, ბუღალტრული აღრიცხვის ფორმები და რეგისტრები, ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცედურები, ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების დახასიათება. ფულადი სახსრების აღრიცხვა სატრანსპორტო ფირმაში, მოთხოვნების აღრიცხვა, სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა სატრანსპორტო ფირმაში, იჯარის ბუღალტრული აღრიცხვა, ინვესტიციების ბუღალტრული აღრიცხვა, ვალდებულებების აღრიცხვა, საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა სატრანსპორტო ფირმაში, შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა; ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცედურები და თავისებურებები სატრანსპორტო ფირმაში.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ეკონომიკური თეორიის საფუძვლები და მათემატიკური მეთოდები და მოდელები ეკონომიკაში.

FTB0250 მარკეტინგი - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მარკეტინგის საგანი და თანამედრივე კონცეფციები; სტრატეგიული მარკეტინგი; მარკეტინგული გარემო; მარკეტინგული კვლევები; მყიდველთა ქცევა სამომხმარებლო ბაზარზე; მომხმარებელთა ქცევა საწარმოთა ბაზარზე; ბაზრის სეგმენტაცია, მიზნობრივი ბაზრის შერჩევა და საქონლის პოზიციონირება; კონკურენციის მარკეტინგული სტრატეგიები; საქონელი და სასაქონლო პოლიტიკა მარკეტინგში; ახალი საქონელი მარკეტინგში; ფასები და ფასწარმოწმის სტრატეგია მარკეტინგში; ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები; რეკლამა, გასაღების

სტიმულირება, სპონსორობა და საზოგადოებასთან ურთიერთობები; მარკეტინგული არხები და ლოგისტიკა; მარკეტინგი სატრანსპორტო ფირმებში; ნავსადგურის მარკეტინგი; მარკეტინგული სამსახური ორგანიზაცია საზღვაო ნავსადგურებში; ინტერნეტ-მარკეტინგი; საერთაშორისო მარკეტინგი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ეკონომიკური თეორიის საფუძვლები. მენეჯმენტი და სატრანსპორტო ფირმის ეკონომიკა.

FTB0260 მართვის ფსიქოლოგია საზღვაო ტრანსპორტზე - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მმართველობითი საქმიანობის თეორიული ასპექტები და ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი, მეზღვაურთა პროფესიონალიზმის განმსაზღვრელი ფსიქოლოგიური კრიტერიუმები და მექანიზმები; გემზე მეზღვაურთა დადლილობის შემსუბუქების ფსიქოლოგიური ფაქტორები; ხელმძღვანელი ექსტრემალურ სიტუაციაში; ნაოსნობის პროცესში ფსიქოლოგიური კონფლიქტების გადაწყვეტის გზები, ადამიანთან საქმიანი ურთიერთობის უნარის ჩამოყალიბება და სხვა. მეზღვაურთა ქცევის რეგულაციის ფსიქოლოგიური კანონზომიერებები; ფსიქოლოგიური კონფლიქტის დადებითი და უარყოფითი შედეგები, ლიდერობა, კომუნიკაციის პროცესი, მისი სტრუქტურა, დანიშნულება და ცალკეული ფორმები; მეზღვაურის პიროვნული თვისებები, სწავლის პროცესსა და პროფესიულ საქმიანობას შორის კავშირი.

კურსის შესწავლის წინაპირობა: მენეჯმენტის საფუძვლები

FTB0270 ლოგისტიკა - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ლოგისტიკის შესავალი და განვითარების ფაქტორები; ლოგისტიკის კონცეფციები; ინფორმაციული ლოგისტიკა; შესყიდვების ლოგისტიკა; საწარმოო პროცესის ლოგისტიკა; გასაღების ლოგისტიკა; მარაგების ლოგისტიკა; დასაწყობების ლოგისტიკა; სატრანსპორტო ლოგისტიკა; ლოგისტიკური მმართველობის ორგანიზაცია.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ეკონომიკური თეორიის საფუძვლები; მათემატიკური მეთოდები და მოდელები ეკონომიკაში, მენეჯმენტი.

FTB0280 სასწავლო პრაქტიკა - (5 კრედიტი)

კურსის მიზანი: მოცემული კურსის შესწავლისას სტუდენტი უნდა დაეუფლოს საზღვაო სატრანსპორტო ფირმის ორგანიზაციას და მართვას. მან უნდა შეისწავლოს მენეჯმენტის ეფექტური განხორციელების მეთოდები და მიმართულებები საზღვაო სატრანსპორტო ფირმაში. აღნიშნული კურსი გულისხმობს ისეთი საკითხების შესწავლას, როგორცაა ორგანიზაციის არსი და ამოცანები; მართვის ფუნქციები და მის კლასიფიკაცია; მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება; შიდასაწარმოო საქმიანი ურთიერთობების მენეჯმენტი, საზღვაო-სატრანსპორტო ფირმის მენეჯმენტის სრულყოფის მიმართულებები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: მენეჯმენტი, ინფორმაციული ტექნოლოგიები ტრანსპორტზე, საზღვაო ნავსადგურები და ტრანსპორტი

FTB0290 საწარმოო პრაქტიკა - (5 კრედიტი)

კურსის მიზანი: მოცემული კურსის შესწავლისას სტუდენტი უნდა დაეუფლოს საზღვაო ტრანსპორტის სერვისისა და მართვის სისტემას; მან უნდა შეისწავლოს დარგის სტრუქტურა, მდგომარეობა და განვითარების ტენდენცია. აღნიშნული კურსი გულისხმობს ისეთი საკითხების შესწავლას, როგორცაა: სატრანსპორტო პროცესის დაგეგმვა; საზღვაო-სატრანსპორტო საწარმოს მართვის ზოგადი პრინციპები; საზღვაო გადაზიდვების ტვირთბრუნვის მახასიათებლები; ნავსადგურების ექსპლუატაციური მახასიათებლები და ტექნოლოგიური პროცესი; გადატვირთვის სამუშაოების ორგანიზაცია და ტექნოლოგია; ძირითადი ტვირთების გადატვირთვის მეთოდები; სატრანსპორტო მომსახურების თვითღირებულებისა და დანახარჯების გაანგარიშების მეთოდებს, სამეურნეო პოლიტიკის პრაქტიკულ გამოყენებას, სატრანსპორტო მომსახურების განვითარების პერსპექტივებს, სატრანსპორტო მომსახურების რენტაბელური გაძღოლის საკითხებს, სატრანსპორტო ფირმის ეკონომიკას, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანეს ელემენტებს; სხვადასხვა სახის ტვირთების გადაზიდვის კომერციული პირობები.

FTB0300 მენეჯმენტი ტრანსპორტზე - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ევროპის პოლიტიკა ნავსადგურებთან მიმართებაში; ნავსადგურების მართვა; სატრანსპორტო გემების მენეჯმენტი; კორპორაციული სტრატეგია გემების საერთაშორისო სახაზო გადაადგილებისას; საინვესტიციო საქმიანობა საზღვაო-სატრანსპორტო ფირმებში; სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის ორგანიზაცია სატრანსპორტო მომსახურების ბაზარზე; მმართველობითი გადაწყვეტილების ფსიქოლოგიური ასპექტები; კონფლიქტები მმართველობით საქმიანობაში.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: საზღვაო ნავსადგურები და ტრანსპორტი, საზღვაო-სატრანსპორტო და გადამტვირთავი მანქანები, მენეჯმენტი, საზღვაო სატრანსპორტო გადაზიდვების ტექნოლოგია.

FTB0310 კომერციული საქმიანობა საზღვაო ტრანსპორტზე - (10 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კომერციული მუშაობის არსი და ძირითადი ცნებები; კომერციული საწარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები; საზღვაო-სატრანსპორტო პროცესის მონაწილეთა კომერციული კავშირების სისტემა და ხელშეკრულებით მუშაობა; კომერციული ხელშეკრულების არსი, სახეები და ფორმები; გემებისა და ტვირთების დამუშავების, მომსახურების კომერციული პირობები; გემების სატვირთო დამუშავების კომერციული პირობები და სტივიდორული კონტრაქტი; გადაზიდვის ტარიფები საზღვაო ტრანსპორტზე; სატვირთო და კომერციული დოკუმენტაცია: შიდა სანავსადგურო ექსპედიცია; საქართველოსა და უცხოურ ნავსადგურებში ტვირთების მიღება-ჩაბარების დოკუმენტური გაფორმება; საბაჟო დოკუმენტაცია და საბაჟო დეკლარაცია; კონოსამენტი, მისი როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობასა და საზღვაო გადაზიდვებში; საზღვაო დაზღვევა; გადაზიდვების ცალკეულ სახეობათა კომერციული თავისებურებანი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: სატრანსპორტო ფირმის ეკონომიკა, ორგანიზაცია და მენეჯმენტი, მარკეტინგი და საბუღალტრო აღრიცხვა.

FTB0320 ფირმის სამეურნეო საქმიანობის ანალიზი - (10 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სამეურნეო საქმიანობის ანალიზის მეცნიერული საფუძვლები, შინაარსი და საგანი; სამეურნეო საქმიანობის ანალიზის სისტემა და ანალიზის ორგანიზაცია; ფირმის ძირითადი საქმიანობის ანალიზის მეთოდოლოგია; ფირმის სამეურნეო საქმიანობის შედეგების შეფასება; წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის ანალიზი; შრომისა და შრომითი რესურსების გამოყენების ანალიზი; მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გამოყენების ანალიზი; პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ანალიზი; თვითღირებულების ანალიზი; მოგებისა და რენტაბელობის ანალიზი; ფინანსური მდგომარეობის ანალიზი. საზღვაო-სატრანსპორტო ფირმის საქმიანობის ანალიზი; საზღვაო-სატრანსპორტო ფირმის შრომითი რესურსების გამოყენების ანალიზი; საზღვაო-სატრანსპორტო საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი; საზღვაო-სატრანსპორტო ფირმის მოგებისა და რენტაბელობის ანალიზი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ეკონომიკური თეორიის საფუძვლები, სატრანსპორტო ფირმის ეკონომიკა და საბუღალტრო აღრიცხვა.

FTB0330 ფლოტის მართვა და გემების აგენტობა - (10 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საზღვაო ტრანსპორტის მართვის თეორიული ასპექტები; საზღვაო ტრანსპორტის მართვის სისტემა; საზღვაო ტრანსპორტის საქმიანობის ანალიზი; საზღვაო ტრანსპორტი თანამედროვე პირობებში; ფლოტის მუშაობის მართვის სისტემების განვითარებისა ტენდენციები; ფლოტის მუშაობის მართვის პროცესის მახასიათებლები; საზღვაო ტრანსპორტით ტვირთის გადატანის ორგანიზაცია; ნავსადგურების მართვის პროცესის დახასიათება; მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისა და რეალიზაციის პროცესი; ორგანიზაციული სტრუქტურების აგების პრინციპები და მეთოდური საფუძვლები; ორგანიზაციული სტრუქტურების სახეები; ორგანიზაციული სტრუქტურების მართვის პროექტირება; პერსონალის მართვა; თანამდებობრივი ინსტრუქციები; მოსამსახურე პერსონალის და სპეციალისტების შრომის შეფასება; კადრების მომზადების სისტემა საზღვაო ტრანსპორტისათვის; საზღვაო ტრანსპორტის სამართლებრივი რეგულირება; საზღვაო ტრანსპორტის მუშაობის ადმინისტრაციული რეგულირება; გემების ტექნიკური ზედამხედველობა; ლოიდის რეგისტრის ისტორია; გემების დოკუმენტაცია; საზღვაო-სატრანსპორტო გემების რეისი, რეისების სახეები და ნორმირება; საზღვაო აგენტობის არსი და სამართლებრივი რეგულირება; საზღვაო აგენტობის ხელშეკრულება; საზღვაო აგენტის პასუხისმგებლობა; საზღვაო აგენტის შრომის ანაზრაურება; საზღვაო აგენტის საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: საზღვაო ნავსადგურები და ტრანსპორტი, საზღვაო-სატრანსპორტო და გადამტვირთავი მანქანები, მოძრაობის უსაფრთხოება საზღვაო ტრანსპორტზე, სატრანსპორტო ბიზნესკანონმდებლობის საფუძვლები.

არჩევითი საგნები

FTB0341 სამართლის საფუძვლები - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სამართლის წარმოშობა და განვითარება; სახელმწიფოს თეორია; სამართლის თეორია; საქართველოს კონსტიტუციური სამართლის ცნება(საზოგადოებრივი წესწყობილებებისა და პოლიტიკის საფუძვლები, მოქალაქეობა, სასამართლო ორგანოები; სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობანი(ფიზიკური პირები, იურიდიული პირები); საკუთრების უფლება; სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებანი; საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობის სამართალი; კომერციული იურიდიული პირები; შრომის სამართლებრივი ურთიერთობანი; ადმინისტრაციული სახდელები; დანაშაულის ცნება; მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები; სასჯელი და მისი სახეები; სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები; პასუხისმგებლობა ცალკეული დანაშაულისათვის.

FTB0351 ფილოსოფია - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოსოფიის საგანი; ფილოსოფიის როლი და ადგილი კულტურაში; ფილოსოფიის ჩამოყალიბება; ფილოსოფიის ძირითადი მიმართულებები, სკოლები და მისი განვითარების ეტაპები; ფილოსოფიური ცოდნის სტრუქტურა; მოძღვრება ყოფიერებაზე; ყოფიერების მონისტიკური პლიურასტიკული კონცეფცია; ყოფიერების თვითორგანიზაცია; მატერიალური და იდეალური ცნება; სივრცე, დრო, მოძრაობა და განვითარება. დიალექტიკა; დეტერმინიზმი და ინდეტერმინიზმი; დინამიკური სტატიკური კანონზომიერება; მსოფლიოს სამეცნიერო, ფილოსოფიური და რელიგიური სურათები; ადამიანი, საზოგადოება, კულტურა; ადამიანი და ბუნება; საზოგადოება და მისი სტრუქტურა; სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო; ადამიანი სოციალური კავშირების სისტემაში; ადამიანი და ისტორიული პროცესი; პიროვნება და მასა, თავისუფლება და აუცილებლობა; საზოგადოების განვითარების ფორმაციული და ცივილიზებული კონცეფციები; ადამიანური ყოფიერების აზრი; ძალდატანება და ძალდაუტანლობა; თავისუფლება და პასუხისმგებლობა; მორალი, სამართლიანობა, სამართალი.

FTB0361 პოლიტოლოგია - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: პოლიტიკური აზროვნების წარმოშობისა და განვითარების ძირითადი ეტაპები; თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის არსი, მიზანი, განხორციელების ფორმები და საშუალებები; სახელმწიფოს მმართველობის ფორმები; სახელმწიფო ხელისუფლების ძირითადი ნიშნები და ფუნქციები; თანამედროვე პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები; საერთაშორისო ორგანიზაციები და მისი როლი მსოფლიოს გლობალურ პოლიტიკაში და სხვ.

FTB0371 ზღვაოსნობისა და გემთმშენებლობის ისტორია - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ზღვაოსნობისა და გემთმშენებლობის წარმოშობა; ზღვაოსნობისა და გემთმშენებლობის ისტორიული სტადიები; თანამედროვე მსოფლიო წამყვანი სახელმწიფოების ფლოტები, მათი სახეები და როლი გლობალურ პოლიტიკაში; ქართული ზღვაოსნობისა და სანაოსნო საქმის განვითარება უძველესი დროიდან დღემდე; საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციები და სხვა.

FTB0381 სპეც.ინგლისური ენა - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მოკლე ინფორმაცია საქართველოს საზღვაო პორტებზე; ფოთის ნავსადგური; მთავარი საკითხები, რომლებიც უნდა იქნეს დაცული, როცა შემოვდივართ საქართველოს საზღვაო პორტებში; გემისა და ნაპირის რადიო კავშირები; შეტყობინება შემოსვლაზე; პილოტაჟი; გემის ღუზის ჩაშვება; სანიტარული და საკარანტინო მოთხოვნები; გემის მიბმა ნავმისაბმელზე და გემის პორტში დარჩენა; ტვირთის დამუშავება; გემების აგენტირება; საჩივრები ტვირთზე; საჩივრები და პრეტენზიები გემების შეჯახების ან სხვა ავარიის დროს; ტვირთის დოკუმენტაცია; ფრახტირება; გემის სარეისო დოკუმენტაცია; ტექნოლოგიური დანადგარების საზღვაო გადაზიდვის კონტრაქტის ნიმუში; კომუნიკაცია აგენტს, გემის კაპიტანსა და ეკიპაჟის წევრებს შორის.

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსის უცხო ენა ათვისება.

FTB0391 კულტუროლოგია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კულტუროლოგიის საგანი. კულტურის ცნების გაგება. კულტურის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა. კულტურისა და ბუნების ურთიერთმიმართება. კულტურის დროულ–სივრცული ლოკალიზაცია და ურთიერთობა ღირებულებასთან. კულტურის ბუნებრივი და სოციალური დეტერმინაციის ჩარჩოები და ადამიანის მოღვაწეობა მასში. უმაღლესი ღირებულება, როგორც რელატიურისა და სუბიექტურის, ასბოლუტურისა და ობიექტურის მომენტის მატარებელი. კულტურის ტელეოლოგიური ხასიათი.. კულტურა, როგორც ადამიანის მოქმედების შედეგი. კულტურა და ბარბაროსობა. კულტურა და ცივილიზაცია. პირველყოფილი საზოგადოება, როგორც კულტურის განვითარების საწყისი ეტაპი. რელიგიისა და კულტურის, ხელოვნებისა და კულტურის, ზნეობისა და კულტურის ურთიერთობები. კულტურის შესახებ არსებული თეორიები. ნიცმეს „ბერდიაევის, ნიბურის და სხვათა თვალსაზრისები.